# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-326

26/04/2022 ქ. თბილისი

**კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე, სასარგებლო წიაღისეულის (1 077 900 მ$^3$ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 26-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე შპს „მეგა ჰოლდინგის“ სასარგებლო წიაღისეულის (1 077 900 მ$^3$ ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკოპინგის დასკვნა N17 (08.04.2022);
2. შპს „მეგა ჰოლდინგმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N17 (08.04.2022) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მეგა ჰოლდინგს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მეგა ჰოლდინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი